დმანისის მუნიციპალიტეტის მერის

2024 წლის

ანგარიში

ბიუჯეტი

ბიუჯეტი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მატებით 2024 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

2023 წელს შეადგენდა

16 539 600 ლარს

2024 წელს შეადგინა

19 988 800 ლარს

2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი

წლის ბოლომდე გაიზრდება

34 775 913 ლარამდე

ანუ ზრდამ შეადგინა 14 787 113 ლარი, რაც შეადგენს 74%

ინფრასტრუქტურა და მშენებლობა

დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ორი წყალმომარაგების პროექტი დასრულდა და ერთი მიმდინარეობს.

კიზილაჯლო

დასრულებული

დაგარახლო

მიმდინარე: გომარეთი

40 წყარო მაშავერას პროექტის ფარგლებში ქალაქ დმანისის და 22 სოფლის წყალმომარაგების სისტემის მუშა პროცესი სრულდება.

საგზაო ინფრასტრუქტურა

დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 წელს სოფელ ვაკის, ჭავჭავაძის, ქეთევან ნამებულის და სიონის ქუჩის 2,0 კმ გზის რეაბილიტაცია დასრულდა.

დმანისის მუნიციპალიტეტში 2024 წელს 10 კმ გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

- ქალაქ დმანისში ვახტანგ გორგასლის ქუჩისა და სკოლასთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები.
- ფონიჭალა - მარნეული - გუგუთის საავტომობილო გზიდან სოფ. მაშავერაში მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები.

მიმდინარე საგზაო სამუშაოები

- ქალაქ დმანისში 9 აპრილის ქუჩის გზის მოწყობის სამუშაოები.
- ქალაქ დმანისში აღმაშენებლის ქუჩის გზის მოწყობის სამუშაოები.
- სოფელი ამამლო-ირგანჩაის გზის მოწყობის სამუშაოები.

რეკრეაციული სივრცეები და სპორტული მოედნები

2024 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში ორი სკვერი (ზემო ოროზმანი, მამიშლო) და სამი სტადიონი (მამიშლო, ბაზაქლო, ზემო ოროზმანი) მოეწყო

შენობა-ნაგებობები

2024 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია დასრულდა

- კომუნალური სამსახურის შენობა.
- ქალაქ დმანისში 6 კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. (26 მაისის N11, N5, N13 ვახტანგ გორგასლის N10 N6, და წმინდა ნინოს ჩიხი N3.
- დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობის რეაბილიტაციის სამუშაო.
- სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია დასრულდა.

დასრულებული შენობა-ნაგებობები

- დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბოსლებში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- დმანისის მუნიციპალიტეტში საზღვრის აღმნიშვნელის რეკონსტრუქციის სამუშაოები.
- სოფ. ირგანჩაიში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა.
- ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩა N34-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის სამუშაო.

მიმდინარე შენობა ნაგებობები

- დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჭიდაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- სოფელ გომარეთის კულტურის ცენტრის მშენებლობა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,
2024 წელს, დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა
60 სხვადასხვა სახის პროექტი.

გარე განათება

16 სოფელში დასრულდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები (ტნუსი, ქვემო კარაბულახი, ზემო კარაბულახი, სოგუთლო, უსეინქენდი, კიზილაჯლო, შახმარლო, კიზილქილისა, ტყისპირი, ზემო ოროზმანი, ირგანჩაი, ამაგლო, ბაზაქლო, მამიშლო, საფარლო, იაღუფლო). საერთო თანხით 423082 ლარი.

გზები

18 სოფელში დასრულდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, (განთიადი, მეორე სალამალეიქი, პირველი სალამალეიქი, ახალი გოდაგდაგი, ძველი გოდაგდაგი, ვაკეკავანტიანი, იაღუფლო, ქართული კაკლიანი, ქცია, განახლება, ანგრევანი, დაგარახლო, ორმაშენი, კამიშლო, საკირე, გორა, შახმარლო, კამარლო). საერთო ღირებულებით 603912 ლარი.

სხვა

26 სოფელში დასრულდა სხვადასხვა სახის სამუშაოები (ჯავახი, სოგუთლო, მამიშლარი, ახა, ქვემო კარაბულახი, ზემო კარაბულახი, დალარი, მთისძირი, ქვემო ოროზმანი, შინდლარი, გომარეთი, მამულო, აზკაკლიანი, სარკინეთი, ველისპირი, იფნარი, საჯა, ბახჩალარი, გუგუთი, ლოქჭანდარი, დიდი დმანისი, პატარა დმანისი, ვარდისუბანი, ბოსლები, მაშავერა-უკანგორა, ქარიანი) საერთო ღირებულებით 804168 ლარი.

2024 წელს
ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელდა 85 პროექტი რაშიც

12 482 521 ლარი

დაიხარჯა

ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის სამსახური

მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, ისარგებლა 807 ბენეფიციარმა თითოეულმა 200 ლარის ოდენობით 149 364 ლარი

ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამის ფარგლებში ისარგებლა 2 640 ბენეფიციარმა, თითოეულმა 200 ლარის ოდენობით. ჯამში გაიხარჯა 530 000 ლარი.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალურ-ამბულატორიული დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ისარგებლა 924 ბენეფიციარმა 763 586

„მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში 11-მა ოჯახმა მიიღო საყოფაცხოვრებო ტექნიკა (სარეცხი მანქანა, წყლის გამაცხელებული, საწოლი, მაცივარი, ტანსაცმლის კარადა - საჭიროებიდან გამომდინარე), 5 ოჯახისათვის შეძენილ იქნა სასკოლო ნივთები.

„ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 3 ბენეფიციარი ქალი 5 000 მდე ლარით, ხოლო 18-მა ქალბატონმა წარმატებით გაიარა სასწავლო კურსი.

მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურმა განხორციელდა 19 პროგრამა:

1. „ერთჯერადი ფინანსური დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამის" ფარგლებში მიმდინარე წელს ისარგებლა ისარგებლა 2 650 - მა მოქალაქემ, თითოეულმა 200 ლარის ოდენობით;

2. „დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამის" ფარგლებში წლის განმავლობაში ისარგებლა 18 - მა პირმა, ყოველთვიურად თითოეული ღებულობს 200 ლარის ოდენობას;

3. „ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამის" ფარგლებში ისარგებლა 5 - მა ბენეფიციარმა, თითოეულმა წლის განმავლობაში 3 000 ლარის ოდენობის შესაბამისი კვების პროდუქტებით;

4. „მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამის" ფარგლებში წლის ფარგლებში ისარგებლა 48 -მა ბენეფიციარმა, ყოველთვიური ფულადი დახმარებით 150 ლარის ოდენობით;

5. „მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა"

6. „18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2024 წლის სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა"

7. „მარჩენალდაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამა";

8. „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის ქვეპროგრამის“ ფარგლებში დაკმაყოფილდა 2 განაცხადი;

9. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში აძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამის“ ფარგლებში წლის განმავლობაში 3 პირზე ;

10. „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის განკუთვნილი ყოველთვიური სოციალური დახმარების ქვეპროგრამა“;

11. „მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების 2024 წლის ქვეპროგრამის“ ფარგლებში 13 ოჯახზე გადაცემულია მათთვის სასრუველი საოჯახო ტექნიკა და ნივთები 8 200 ლარის ოდენობით;

12. „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამის“ ფარგლებში წლისგანმავლობაში გაიხარჯა 763 589 ლარი. სულ ისარგებლა 924 -მა მოქალაქემ;

13. „აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა“ ;

14. „მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამის“ წლის განმავლობაში ისარგებლა 807 მოქალაქემ, გაიხარჯა

15. „ტრანსპორტით მომსახურების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა “, რომლითაც თითქმის ყველა სოფელს ემსახურება და მათ აქვთ საშუალება ისარგებლონ მუნიციპალურ ცენტრში ჩამოსვლით და საჭირო მომსახურებების მიღებით;

16. „ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების თანადაფინანსების 2024 წლის მუნიციპალური ქვეპროგრამა“;

17. „ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 3 ბენეფიციარი ქალი 5 000 მდე ლარის ოდენობით, რომლებსაც მიეცათ შესაძლებლობა საკუთარი საქმიანობის წამოწყების. პროგრამის ფარგლებში სწავლება გაიარა 18 - მა ქალმა; პროგრამის ფარგლებში მიღებული სწავლების შედეგად დასაქმდა - 3, ხოლო ორი ქალბატონი დაწინაურდა არსებულ სამსახურებში.

18. „ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი „ბრიკეტით“) უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის“ ფარგლებში ისარგებლა 200 - მა პროგრამით მოსარგებლე ოჯახმა, გაიხარჯა 64 000 ლარამდე;

19. „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისქვეპროგრამა“.

**CENN - ის საგრანტო კონკურსში დაფინანსებული პროგრამა -
„თაობათა შორის ტექნოლოგიური ხიდი"
ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება" - თან დადებული მემორანდუმის შესაბამისად
დმანისში ფუნქციონირება დაიწყო „დმანისის ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრმა",
მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი 45 000 ლარის ოდენობაა. ცენტრი მოემსახურება
20 - მდე განსხვავებული საჭიროების მქონე 3 - დან 18 წლამდე პირს**

ათეას საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში (BPP) დმანისის მუნიციპალიტეტი 2 გზის ჯილდოს მფლობელი გახდა:

CENN - ის საგრანტო კონკურსში დაფინანსებული პროგრამა
- „თაობათა შორის ტექნოლოგიური ხიდი"

USAID - დადებული მემორანდუმის შესაბამისად დაგეგმილი პრაქტიკა
„მუნიციპალური სოციალური სერვისების (პროგრამების) გავლენის შეფასების მექანიზმი"

მოქმედ სოციალურ პროგრამებში 2024 წელს

2 261 736 ლარი

დაიხარჯა

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

დმანისის მუნიციპალიტეტში ორი სკოლის რეაბილიტაცია და სამი სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს.

რეაბილიტაცია: სოფელი მაშავერა და დიდი დმანისი
მშენებლობა: ზემო ოროზმანი, განთიადი და პატარა დმანისი

განათლება

JICA-ს დაფინანსებითა და კივიტას გეორგიკას მხარდაჭერით, სოფელ კამარლოში აშენდა და ფუნქციონირებს ალტერნატიული სათემო საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება კამარლოს თემის 3-6 წლამდე ასაკის ბავშვებს. ალტერნატიულ ბაღში ირიცხება 19 აღსაზრდელი. ბაღის გარე სივრცის - ეზოს კეთილმოწყობა განახორციელა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ.

განათლება

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ კვლავ მოიპოვა იაპონიის საელჩოს გრანტი, რომლის ფარგლებშიც 2025 წლიდან სოფელ ოროზმანში დაიწყება 100 ბავშვზე გათვლილი ალტერნატიული სათემო საბავშვო ბაღის მშენებლობა. გრანტის ოდენობა შეადგენს 70 500 დოლარს

კარაბულახის თემისათვის სოფელ სარკინეთის საბავშვო ბაღში დაემატა ახალი სასწავლო ჯგუფი, სადაც ირიცხება 34 ახსაზრდელი. ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს დმანისის მუნიციპალიტეტის მერია.

განათლება

2024 წლიდან „პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამაში“, შევიდა ცვლილება და დაწესდა ერთჯერადი ფულადი წახალისება სხვა პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტებზე, თანხა შეადგენს 300 ლარს. პროგრამით ისარგებლა 38 ბენეფიციარმა.

2023-2024 წელს სკოლის წარჩინებით დასრულებისთვის ფულადი ჯილდო გადაეცა 11 მედალოსანს.

წარჩინებულს სტუდენტთა და წარმატებულ (პრიზიორი) სპორცმენების წახალისების ქვეპროგრამას დაემატა სპორტული მიღწევებისათვის და ერთჯერადი ფულადი ჯილდო და მაგისტრანტების ყოველთვიური სტიპენდია, ასევე გაიზარდა სტიპენდიების ოდენობა 200 ლარამდე. აღნიშნული პროგრამით 2024 წელს ისარგებლა 93 დმანისელმა ახალგაზრდამ:

ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ამოქმედდა წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭრის ქვეპროგრამა, რომლითაც ისარგებლა 36-მა.

დმანისის მერის ახალგაზრდული სათათბირო როგორც ახალგაზრდობის მიმართულებით აქტიურად მომუშავე საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, მიწვეული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდულ ფორუმზე, სადაც საქართველოს მასშტაბით საუკეთესო სათათბიროდ დასახელდა.

მერის ახალგაზრდული სათათბირო ახალგაზრდული ასოციაციის წევრი გახდა, რომლის ფარგლებშიც სათათბიროს დელეგატი თავმჯდომარე გაემგზავრა ბაქოში გაცვლითი პროექტით სადაც შესაძლებლობა ჰქონდა აზერბაიჯანელი და ქართველი ახალგაზრდებისთვის გაეცნო სათათბიროს საქმიანობა დმანისში.



USAID - ის მხარდაჭერით ახალგაზრდული სათათბიროს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ერასმუს + ის პროექტში, რომლის ფარგლებშიც სასწავლო ვიზიტით გაემგზავრნენ პორტუგალიაში

ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტულ სკოლაში“ შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „დმანისი“, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო კლუბის ფუნქციონირება და განვითარება.

ჩატარებული სპორტული ღონისძიებები

- „სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით" ტურნირი მკლავჭიდში
- სკოლებს შორის ტურნირი ფრენბურთში
- ორგანიზაციებს შორის ფეხბურთის ტურნირი
- შუქრი ჩხეტიანის თასი ფეხბურთის ტურნირი
- გომარეთობის სახალხო დღესასწაულზე ქართული ჭიდაობა, დოღი მკლავჭიდი
- დმანისობის სახალხო დღესასწაულზე- ქართული ჭიდაობა.
- ფეინთბოლის ჩემპიონატი
- სასკოლო ლიგა (ფეხბურთი)
- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა

სასკოლო ოლიმპიადა

ფეინთბოლის ჩემპიონატი

მიღწევები სპორტში 2024 წელს

1. მკლავჭიდის ევროპის ჩემპიონატზე საპრიზო ადგილები დაიკავეს:
ელჩინ ბინატოვმა და ნოდარ ციხელაშვილმა.

2. მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატზე III ადგილი ნოდარ ციხელაშვილმა დაიკავა.

3. ძიუდოს ევროპის ჩემპიონატი ვეტერანთა შორის II ადგილი სლავიკ რეზესიძემ დაიკავა.

4. კიკბოქსინგში 5-მა სპორტსმენმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა,
ხოლო 4-მა საპრიზო ადგილები დაიკავეს.

5. შერეული ორთაბრძოლები, ჯიუჯიცუ, საქართველოს ჩემპიონი.

კულტურა

2024 წელს ჩატარებული ღონიძიებები

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

•

არტ-გენის ფესტივალი

•

გომარეთობა

•

სხვადასხვა სახალხო თუ საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი აქტივობები (3 მარტი, 8 მარტი, ნოვრუზ ბაირამი, აღდგომა, ახალი წელი და სხვა.)

•

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

•

ახალგაზრდობის ფესტივალი

•

სახალხო დღესასწაული დმანისობა

დმანისობა 2024

არტ-გენის ფესტივალი

სახალხო დღესასწაული გომარეთობა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

სხვადასხვა სახალხო თუ საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები:

8 მარტი
აღდგომა

3 მარტი
ნოვრუზ ბაირამი

2024 წელს დმანისის მუნიციპალიტეტმა გამოსცა პირველი გაზეთი „ დმანისური ამბები”

პროექტის „დმანისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნობარ-კატალოგი“ ფარგლებში 2024 წლის განმავლობაში, გემის მიხედვით, შესრულებული სავალე სამუშაოების შედეგად დამატებით შესწავლილი იქნა ათეულობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ობიექტი.

2024 წელს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით

529 800 ლარი

დაიხარჯა

დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის თეატრის რეაბილიტაცია დასრულდა, რომლის ღირებულებაც 5 000 000 ლარს შეადგენს

2024 წლიდან დმანისის მუნიციპალიტეტში ამოქმედდა საქალაქთაშორისო ტრანსპორტი, რომლის ფარგლებშიც ისარგებლა 16015 მოქალაქემ (აქედან უფასოდ ისარგებლა 720 მგზავრმა, სტუდენტმა , შშმ პირმა და ვეტერანმა) საქალაქთაშორისო ტრანსპორტზე დასაქმდა 4 მძღოლი და 1 ჯგუფის უფროსი. 2024 წელს სულ შემოსულმა თანხამ შეადგინა 76475.

2024 წელს ამოქმედდა უფასო შიდა მუნიციპალური ტრანსპორტი , რომლის ფარგლებშიც სარგებლობს 9 სოფლის მოსახლეობა (მამულო,გოდაგდაგი, კარაბულახის საბავშვო ბაღი, კიზილაჯლო, დაგარახლო, ირგანჩაის მოსახლეობა და პედაგოგები, ამამლო, საფარლო, გუგუთი და პატარა დმანისი) 2024 წელს, სულ დასაქმდა 15 ადგილობრივი მძღოლი.

2025 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია სხვადასხვა სახის 97 ინფრასტრუქტურული პროექტი და სამუშაოს შესყიდვის მიზნით უკვე გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერები, სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 7 156 464 ლარს:

1) ქ. დმანისში გამსახურდიას ქუჩის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს 641870 ლარს;
2) სოფ. პანტიანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს 350000 ლარს;
3) ქ.დმანისში ცურტაველის ქუჩის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს 470270 ლარს;
4) ქ. დმანისში გოგებაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს 350390 ლარს;
5) ქ. დმანისში ჭუბერის ქუჩის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს 438240 ლარს;
6) ქალაქ დმანისში ხერგიანის ქუჩის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს 230480 ლარს;
7) ქ.დმანისში ნანა დედოფლის ქუჩის გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს 319059 ლარს;
8) სტიქიის შედეგად, საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან, დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახების საკუთრებაში საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამა"-ის ფარგლებში 71 საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 1143415 ლარს;
9) ქ. დმანისში, წმ. ნინოს ქ. N56-ში მდებარე კულტურის სახლში სარემონტო სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 132714 ლარს;
10) ქ.დმანისში, წმ.ნინოს ქ.#56-ში სპორტული დარბაზის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 101147 ლარს;
11) ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩაზე არსებული სპორტსკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 86939 ლარს;

12) ქ. დმანისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს შემოღობვის და საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 126805 ლარს;

13) ქ. დმანისში #1 საბავშვო ბაღის შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 66024 ლარს;

14) დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგმარეთში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება შეადგენს 245043 ლარს;

15) დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვემო ოროზმანში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა, ასევე გარე სივრცისთვის ტრენაჟორების მოწყობის და სოფელ ზემო ოროზმანში გარე სივრცისთვის ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 491587 ლარს;

16) დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ დაგარახლოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა, პროექტის ღირებულება შეადგენს 449952 ლარს;

17) სოფელ კიზილაჯლოს სასმელი წყალი სისტემის რეაბილიტაცია პროექტის ღირებულება შეადგენს 60000 ლარს;

18) დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდლარში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 117112 ლარს;

19) ქ. დმანისში 4 ლოკაციაზე გზის პირა მოსაცდელების რეაბილიტაცია (მოქალაქეთა ჩართულობა) პროექტის ღირებულება შეადგენს 38588 ლარს;

20) დმანისის სიონის(ნაქალაქარი) მისასვლელი გზის, ტაძრის და ციტადელის განათების მოწყობის სამუშაო, პროექტის ღირებულება შეადგენს 100328 ლარს;

21) ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩა №15-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის გადახურვის სამუშაო, პროექტის ღირებულება შეადგენს 204943 ლარს;

22) ქ.დმანისში 26 მაისი ქუჩისა და გორგასლის ქუჩის დამაკავშირებელი გზის და ქ.დმანისში თავდადებულის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 250201 ლარს;

23) დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ განთიადში, არსებული ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 59597 ლარს;

24) დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კარაბულახში, სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 243036 ლარს;

25) ქვემო კარაბულახში სტადიონის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 117112 ლარს;

26) განახლებაში სტადიონის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 117112 ლარს;

27) სოფელ კამარლოში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, პროექტის ღირებულება შეადგენს 204500 ლარს.

მე დმანისი

ძლიერი დასაბამი და წარმატებული მომავალი ყველა სფეროში!